

მთვარის ფაზების გავლენა კბილებზე

ადეიშვილი თ., ჟვითიაშვილი, თ., დავარაშვილი ხ., ჯიქია მ.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია*

ანოტაცია: მთვარე - ჩვენი ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრი და მახლობელი კოსმოსური ობიექტია. ის საკმაოდ დიდია და ჩვენს პლანეტაზე ახდენს ძლიერ გრავიტაციულ ზემოქმედებას, რომელიც ვლინდება არა მარტო მოქცევა-მიქცევით პროცესებში, არამედ მთელ რიგ გეოფიზიკურ და ბიოფიზიკურ და მათ შორის სტომატოლოგიურ, პროცესებში. ამიტომ ამ კავშირების დადგენას ძალზე არსებითი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: მთვარის ფაზები, ადამიანზე გავლენა.

1. ადამიანზე მთვარის გავლენის გამოცანები

გრავიტაციულის გარდა, მთვარე დედამიწაზე და მის მკვიდრებზე ახდენს სხვა სახის ზემოქმედებებს, რომლებიც მკაცრ მეცნიერულ კანონებს არ ემორჩილებიან და მათი ფიზიკური მექანიზმების ახსნა ძალზე ძნელია [1].

მაგალითად, მთვარის ფაზების გავლენა მცენარეთა ზრდაზე და განვითარებაზე დაფუძნებულია, მეტწილად გრავიტაციულ ურთიერთქმედებაზე და ამიტომაც კარგად იხსნება.

მთვარის ფაზების გავლენა ადამიანის ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გაცილებით ძნელი ასახსნელია, თუმცა ეს გავლენაც მეცნიერულად დამტკიცებულია და დაფიქსირებული [1]. საკმარისია გავიხსენოთ მთვარეულობის შემთხვევა, რომელიც რეგულარულად პროვოცირდება სავსემთვარეობის დროს.

ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ხომ დამოკიდებულია ამ დღეებში მისი მოღვაწეობის წარმატება, ოჯახში და სამუშაოზე სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და კომფორტისა და შემფოთების შეგრძნება.

ძალიან დიდია მთვარის ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენა იმ კუთხით თუ როგორ იტანს ის სხვადასხვა ოპერაციებს, მკურნალობას და თერაპიას.

ამიტომ სულ უფრო ხშირად ადამიანები ცდილობენ თავიანთი მკურნალობა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეუთანხმონ მთვარის კალენდარს. რა თქმა უნდა, მწვავე დაავადების შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ დაუყოვნებლივ, მთვარის ფაზებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ოპერაციების დაგეგმვის, ან ექიმთან გეგმიური ვიზიტის, დროს მთვარის კალენდარზე ყურადღების მიქცევა აუცილებელია.

ახლა სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანებისა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით რწმუნდებიან მასში, რომ მთვარის ფაზების გავლენას კბილების მკურნალობაზე ერთობ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. მნიშვნელობა არ აქვს, რის გაკეთებას ვაპირებთ - კბილის

ამოღებას, დაბჯენას, პროთეზის ჩასმას, გაწმენდას, თუ ქვების მოხსნას, ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია ამ მანიპულაციებისათვის დღეები ავირჩიოთ მთვარის კალენდრის მიხედვით. მანამდე გავეცნოთ მთვარის ფაზებს.

2. მთვარის ციკლები და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

ჩვენი უახლოესი ციური მეზობლისა და თანამგზავრის - მთვარის დედამიწის გარშემო ყოველთვიური მოძრაობა სხვადასხვა კოსმოსური ენერგიებისა და რითმების შეგრძნების საშუალებას იძლევა [2]. მთვარე ჩვენი მეგობარი და დამხმარეა, თუ მის ენერგიას სწორად გამოვიყენებთ. მთვარის ციკლები (რიტმები) ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისათვის. საერთოდ, დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალი არსება მთვარისეულ რითმებშია მოთავსებული და ადამიანის მრავალი ბიოლოგიური რითმი კარგად ეთანადება მთვარისას [1]. ის, თუ თავისი ციკლის რომელ ადგილზე იმყოფება მთვარე, გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე წყლის მიმოცვლაზე. ამას ვხვდებით მცენარეებში, ფიზიოლოგიურ რითმებში და სხვა მრავალ ბიოპროცესში.

მთვარე ახალმთვარეობიდან მომავალ ახალმთვარეობამდე თავის თვით ციკლს გაივლის 29,6 დღე-ღამის განმავლობაში [3]. ეს ციკლი იყოფა ოთხ ფაზად და თითოეულ მათგანში შედის 7,4 დღე-ღამე. ახალმთვარეობა ყოველთვის ზოდიაქოს ახალ ნიშანში იწყება. ნიშნები ერთმანეთს ცვლიან ზოდიაქოში მათი განლაგების რიგის მიხედვით. თუ წინა ახალმთვარეობა მოხდა კუროს თანავარსკვლავედში, მაშინ მომდევნო დადგება მთვარის ტყუპებში გადანაცვლების დროს. მზე მთლიან ზოდიაქალურ წრეს გაივლის ერთი წლის განმავლობაში, მთვარე - ერთ თვეში.

მთვარის ერთი ციკლი იყოფა ორ ნაწილად: ახალმთვარეობიდან სრულ მთვარეობამდე დროის მონაკვეთს მზარდი მთვარის პერიოდს უწოდებენ, ხოლო სავსე მთვარეობიდან შემდგომ ახალმთვარეობამდე დროს - მთვარის მილევის პერიოდი ჰქვია. ეს ორი მონაკვეთი ასევე იყოფა ორ ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწილად. ეს დაყოფა გამოყოფს მთვარის ოთხ ძირითად ფაზას: **ახალმთვარეობა**, როდესაც მთვარე ასტრონომიულ რუქაზე იმყოფება მზესთან პირდაპირ შეერთებაში; **პირველი მეოთხედი** - როდესაც მთვარე მზესთან ადგენს პირველ მარჯვენა კვადრატურას; **სავსემთვარეობა** - როცა მთვარე მზესთან ოპოზიციაში იმყოფება; **უკანასკნელი მეოთხედი** - როდესაც მთვარე მზესთან ადგენს მარცხენა კვადრატურას.

ასტრონომიულად **ახალმთვარეობა** დგება იმ მომენტში, როცა მზე და მთვარე შეერთებას წარმოქმნის ზოდიაქოს ერთ-ერთ ნიშანში. მთვარის ნამგალი გამოჩნდება ახალმთვარეობიდან მესამე დღეს, ე.ი. დადგება „ჭეშმარიტი ახალმთვარეობა“, როდესაც მთვარე, როგორც პატარა გოგონა, პირველად გამოხედავს თავისი მრისხანე „მშობლის“ (მზის) ზურგიდან. ამ პერიოდში მთვარე იმყოფება მზესთან შეერთებაში, ის იმალება მის სხივებში, ის არ ჩანს, არ „ანათებს“.

ახალმთვარეობამდე უკანასკნელ ორ დღეს და ახალმთვარეობის შემდეგ პირველ ორს **ჰეკატეს დღეებს** უწოდებენ. **ჰეკატე**, ძველ ბერძნულ პანთეონში, ჯოჯოხეთის, შავი ღამეების, და ღამის საშინელებების, ჯადოსნების და მჩხიბავების ქალღმერთია. ის ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად გახლდათ მზის შვილიშვილი და სახელი გაითქვა როგორც მკვლელმა. ეს ოთხი, თვის ყველაზე ბნელი, ღამე არის ყველაზე გამოუცნობი და მისტიკური.

ახალმთვარეობის პერიოდში (ზუსტი თარიღიდან ორი დღით ადრე და ორი დღით გვიან) უამრავ ადამიანს აღენიშნება როგორც ფსიქიური, ისე ფიზიკური ხასიათის მნიშვნელოვანი გადახრები, რომლებიც მკაცრად შეესაბამებიან ზოდიაქოს ნიშნების ბუნების თვისებებს.

ახალმთვარეობისას და მთვარის თვის პირველ დღეს მზისა და მთვარის მომატებული გრავიტაციის დროს, ადამიანის მასა იკლებს, თავის მხრიდან სითხე მიისწრაფის ქვემოთ და თანაბრად გადანაწილდება ორგანიზმში [4]. ადამიანის ორგანიზმი დასუსტებულია, მისი იმუნიტეტი დაქვეითებული, ვლინდება ფიზიკური და სულიერი სისუსტე, გაღიზიანება, ნერვოზულობა, დაქვეითებულია შრომისუნარიანობა და გონებრივი საქმიანობა, ადამიანს არ შეუძლია სწორი გადაწყვეტილების მიღება. დაიკვირვება მადის ცვლილება, უძილობა, კრუნჩხვები, ოფლიანობა, დაღლილობა, ნერვული შეტევა, ღებინება, სუნთქვის გართულება, ცრემლდენა, იმპოტენცია ანუ ფრიგიდულობა. ესაა დღეები, როდესაც მწვავედება ქრონიკული დაავადებები და საერთოდ ძალიან ძლიერია ავადობების ამთვისებლობა. ძალიან საშიშია გადაღლა, ცხარე და ცხელი საკვების მიღება, ძალზე ცუდია ალკოჰოლის მოხმარება, უნდა გამოირიცხოს ნარკოტიკების მიღება, დაიკვირვება მოწამვლათა დიდი რისკი [1].

ეს დღეები უნდა გავატაროთ წყნარად, მედიტაციაში, დადებითი განწყობებით. გვერდი უნდა ავუაროთ გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ გადატვირთვებს, არ დავიწყოთ არაფერი სერიოზული, არ ჩავატაროთ ქირურგიული ჩარევები, ოპერაციები. ამ დროს არ შეიძლება მარხვა, შიმშილობა. კარგია კანის გასუფთავება და მიკროელემენტებით საზრდოობა, თბილი აბაზანების მიღება, რადგანაც ამ პერიოდში სითხე კარგად შეიწოვება კანში და აღწევს სხეულის სიღრმეში.

თუ გავითვალისწინებთ თანმიმდევრულ ახალმთვარეობების რამდენიმე რუქას, მივიღებთ უფრო ზოგად სურათს მთვარის წლის განმავლობაში, რომელიც 13 მთვარის თვის ტოლია.

ამრიგად, ახალმთვარეობიდან პირველ მეოთხედამდე პერიოდში მიმდინარეობს ფორმირების ფარული შინაგანი პროცესი. ამიტომ ეს კვირა უნდა დაიგეგმოს, შევაფასოთ რესურსები, მაგრამ არ უნდა მოხდეს იდეების პრაქტიკული განხორციელება.

ახალმთვარეობიდან 7,4 დღე-ღამის შემდეგ მთვარე 90° კუთხითაა შემობრუნებული მზე-დედამიწის მიმართულების მიმართ და მზის ენერჯის გავლენა შემცირებულია. ესაა ენერგეტიკული შემობრუნების პერიოდი, როცა იზრდება ორგანიზმის აქტიურობა. პირველი მეოთხედიდან სრულმთვარეობამდე პროცესები ხილულია, ენერჯია იზრდება, ამიტომ ამ პერიოდში უნდა დავიწყოთ საკუთარი იდეების პრაქტიკული განხორციელება. პირველი მეოთხედის ფაზასთან რაც უფრო ახლოს დავიწყებთ მოქმედებას, მით მეტი იქნება წარმატებების შანსი. ეს არის შესაფერისი პერიოდი მოგზაურობის, გადასახლებისა და სამუშაოს ადგილის გამოცვლის განსახორციელებლად.

თუ ახალმთვარეობა მზისა და მთვარის შეერთების მომენტია, მაშინ **სავსემთვარეობა** - ეს **ოპოზიცია** ანუ, სხვანაირად, პირისპირდგომაა. ამ მომენტში მთვარეს გააჩნია ბიოსისტემებზე მაქსიმალური ზემოქმედების უნარი, რამდენადაც ის ნაწილობრივ თავისუფლდება მზისიერი გავლენისაგან. მგრძნობიარე ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, სხვებზე ადრე გრძნობენ სავსემთვარეობის მოახლოებას. ისინი განიცდიან სულიერ შფოთვისა და ფიზიკურ დისკომფორტს, ვარდებიან ხან უმიზეზო აპათიაში და ხან კიდევ გაუგებარ აღგზნებაში. სავსემთვარეობის დროს მზე და მთვარე იმყოფებიან მაქსიმალური კონფრონტაციის ფაზაში. აქედან ვღებულობთ მაქსიმალურ გაუწონასწორობლობას და ქცევის არაპროგნოზირებადობას.

სავსემთვარეობა მოქმედებს 4 დღე. ეს ე.წ. მთვარისიერი გზაა, დღეები, როცა მთვარე იმყოფება კულმინაციაში. ეს ორი დღეა ფიზიკურ სრულმთვარეობამდე, ხოლო ორი - მის შემდეგ. სავსემთვარეობა მიმდინარეობს მთვარის კალენდრის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 დღეებში. ამ დროს ადამიანები განიცდიან ზოგჯერ სიხარულსა და ბედნიერებას. ესაა ყოფიერების მთლიანობისა და უწყვეტობის დრო. სავსემთვარეობის დღეები უფრო

წარმატებულია რეკლამისათვის, პრეზენტაციისათვის, გამოსვლებისათვის, ყველაფერ იმისათვის რაც იპყრობს პუბლიკის ყურადღებას.

რაც შეეხება ჯამრთელობასა და თვითმგრძობელობას, უნდა გვახსოვდეს, რომ სავსემთვარეობა ყველაზე არაკეთილსაიმედო დღეა მთვარის თვეში. ამ დროს ხდება ხშირი მოწამვლები, ტრამვები და სხვა. ამიტომ რეკომენდებულია თავი შევიკავოთ ყოველგვარი ზეიმისაგან, სადღესასწაულო საღამოებისაგან, ზედმეტი ჭამისაგან, ნებისმიერი ენერგეტიკული დანაკარგებისაგან, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვისაგან. ამ პერიოდში ადამიანები ადვილად ღიზიანდებიან, დავობენ, უმიზეზოდ ჩხუბობენ. ბევრ ადამიანს სავსემთვარეობისას ეწყება უძილობა, დაგროვებული ენერგია არ აძლევს ძილის საშუალებას, ვლინდება სექსუალური მგრძობელობა. ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანებს უმწვევებდათ ნერვული აშლილობები, მთვარეულები იწყებენ ძილში ხეტიალს, იზრდება თვითმკვლელობათა რიცხვი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ძალადობისა და დანაშაულობების აქტები და სხვ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიკვირვება ალგუნეობადობა, აგრესია, ანარქიული ტენდეციები, ბრბო ხდება უმართავი [1].

სავსემთვარეობის დროს სასურველია ოპერაციებზე უარის თქმა, რადგანაც მათ მოსდევს მნიშვნელოვანი სისხლდენები, ჭრილობები ცუდად ხორცდებიან და ოპერაციის შემდგომი გამოჯანმრთელება ნელა მიმდინარეობს.

სავსემთვარეობიდან 7,4 დღე-ღამის შემდეგ იწყება მთვარის მილევის (კუმშვის) პერიოდი, როცა მთვარე ისევ უახლოვდება მზეს. ამ შემთხვევაში ხდება ორგანიზმის შეკუმშვა. მთვარის ეს მესამე კვირა ყველაზე უფრო ხელსაყრელია ჯანმრთელობისა და ყოველგვარი გამაჯანსაღებელი პროცედურებისათვის. ახალმთვარეობიდან უკანასკნელ მეოთხედამდე პერიოდში ყველა პროცესი მიმართულია დასრულებისაკენ. მაქსიმუმი გავლილია, ახლა რჩება მხოლოდ ბოლომდე ამოწურვით რესურსები და დავასრულოთ საქმეები. მხოლოდ ისეთების დაწყება შეიძლება, რომელთა დასრულება ახალმთვარეობამდე განხორციელდება, დანარჩენების დაწყება უნდა გადაიდოს ახალ ციკლამდე.

უკანასკნელი მეოთხედიდან ახალმთვარეობამდე პერიოდში პროცესი ისევ შინაგანია. ამიტომ ამ დროს გამოჩენილი ზედმეტი აქტიურობა იწვევს ძალების გამოფიტვას და დაწყებული საქმის დამთავრება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ესაა საქმეების წესრიგში მოყვანისა და მათი დამთავრების დრო, ანგარიშებისა და დასკვნების გამოტანის დრო. ახალი საქმე შეიძლება დავიწყოთ თუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ მას დავასრულებთ ახალმთვარეობამდე. თუ ეს ვერ მოვახერხებთ, მაშინ ისინი შეიძლება გაგრძელდნენ განუსაზღვრელი დროით. ეს პერიოდი ყველაზე უფრო გამოდგება შინაგანი სამუშაოებისათვის, თვითანალიზისათვის, ასევე დოკუმენტებზე, წერილებზე და ანგარიშებზე მუშაობისათვის. შეიძლება ასევე შევავროვოთ მონაცემები, მოვიძიოთ ცნობები, ჩავატაროთ რემონტი და გენერალური დასუფთავება.

მთვარის უკანასკნელ ფაზაში რეკომენდირებულია წაშლილი სიმპტომების ქრონიკული დაავადებებთან მუშაობა. ეფექტურია ნებისმიერი გამწმენდი პროცედურები, შლაკებისა და ქვების გამოდევნა, ზედმეტი წონისაგან თავის დაღწევა. ისევ დაიკვირვება კუმშვიდან გაფართოებაზე გადასვლის ტენდენცია, ფიზიკური ტონუსი მცირდება, განწყობა უარესდება. ესაა დრო დასვენებისა და ახალი მთვარისთვის დაწყებისა.

მთვარის ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლის მომენტში შეიძლება შეიქმნას სტრესული მომენტები, რომელიც გრძელდება ორი დღე და ამ პერიოდში ადამიანები ხდებიან უფრო მგრძობიერნი, გაუწონასწორებელნი და შთამბეჭდავნი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მთვარის

ფაზები ოპტიმალური სახით, რათა გავაუმჯობესოთ საკუთარი ცხოვრება. ყველაფერი, რასაც ჩვენ მივმართავთ ორგანიზმის იმ ნაწილის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, რომელიც იმართება **ზოდიაქოს ნიშნით**, რომელსაც ზუსტად გაივლის მთვარე, მოქმედებს ორჯერ უკეთესად. აქ გამოირიცხება გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები. მაგალითად, როდესაც მთვარე იმყოფება კუროს ნიშანში განსაკუთრებით ეფექტურია ყოველგვარი გამოვლინებები და ინგალაციები გაციებისა და ყელის პრობლემების დროს. მაგრამ ყელისა და ყბების ოპერაციები უნდა გამოირიცხოს. ასევე თავი უნდა შევიკავოთ კბილების მკურნალობისაგან.

მზარდი მთვარის დროს, როდესაც ის გაივლის ზოდიაქოს რომელიმე ნიშანს, ამ ნიშნით მართული სხეულის ორგანოთა გაჯანსაღება იქნება უფრო წარმატებული, ვიდრე მიღევადი მთვარის დროს. უნდა გვახსოვდეს, რომ მთვარის ზრდის პერიოდში ორგანიზმი აგროვებს ენერგიას, იკრებს ძალას და ამ პერიოდში მისი დახარჯვა არ არის სასურველი, რამდენადაც თვით უმნიშვნელო დატვირთვაც მიგვიყვანს გამოფიტვამდე. მიღევადი მთვარის დროს ორგანიზმი ადვილად ხარჯავს ენერგიას და ამ დროს ის რჩება ძლიერი და მხნე. ამ პერიოდში ჩვენ ადვილად ვუძლებთ ტკივილს, სწრაფად ვუმკლავდებით ინფექციას და ადვილად გამოვჯანმრთელდებით ავადმყოფობისა და ოპერაციის შემდეგ.

ყველა ქირურგიული ჩარევა (გადაუდებლის გარდა), ყველა სამედიცინო პროცედურა, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზმის დატვირთვასთან და მოითხოვენ ძალისა და ენერგიის დანახარჯს, უნდა ჩატარდეს მიღევადი მთვარის პერიოდში.

მთვარის გავლა ზოდიაქოს ნიშნებში შეიძლება ძლიერ აირეკლოს არა მარტო ადამიანის ემოციონალურ მდგომარეობაზე, არამედ მის ფიზიკურ თვითმგრძნობელობაზე. **ზოდიაქოს თითოეულ ნიშანს შეესაბამება ადამიანის ორგანიზმის გარკვეული ნაწილები და მთვარე ასუსტებს მათ, ქმნის უფრო დაუცველს.** ზოდიაქოს ნიშნის შესაბამის ორგანოებზე, რომელზეც გაივლის მთვარე, არ შეიძლება ქირურგიული ოპერაციების გაკეთება, უნდა მოვერიდოთ მათზე ძლიერ დატვირთვებს, განსაკუთრებით თუ ეს დღე ემთხვევა ახალმთვარეობას.

3. მთვარის გავლენა ადამიანის კბილებზე. მთვარის კალენდარი

დღეისათვის უკვე თითქმის არავინ დავობს მასზე, რომ ჩვენს პლანეტაზე და კონკრეტულად ცოცხალ ორგანიზმზე მთვარის გავლენა არანაირ ეჭვს არ იწვევს. ვიცით, რომ ეს დედამიწის მცირე თანამგზავრი განაპირობებს მოქცევა - მიქცევებს ზღვებსა და ოკეანეებში [5]. ის გავლენას ახდენს სითხის მდგომარეობაზე ადამიანის ორგანიზმში (სისხლზე, ლიმფებზე) და ასევე გაყოფისა და ზრდის სიჩქარეებზე [6]. ასტროფიზიკოსები და უფრო ზუსტად სელენოლოგები დარწმუნებულები არიან მასში, რომ მთვარე მეტწილად ახდენს ენერგეტიკულ გავლენას, რომლის შემოწმებაც არაა ადვილია. მაგრამ კავშირი ადამიანის მდგომარეობასა და მთვარეს შორის, რომელიც უძველესი დროიდანაა შემჩნეული, დღეისათვის დამტკიცებულია თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევებით.

მედიკოსები და ასტრონომები ერთში ნამდვილად სოლიდარულებია: მთვარის ფაზებზე დამოკიდებულია რამდენად წარმატებული იქნება ესა თუ ის ქირურგიული ჩარევა, როგორ სწრაფად შეხორცდება ოპერაციის შემდგომი ჭრილობები და დაიწყება სრული გამოჯანმრთელება. უკანასკნელ ხანებში კბილების მკურნალობა და მათი პროთეზირება მთვარის კალენდრის მიხედვით ძალზე პოპულარული გახდა. მრავალი პაციენტი სტომატოლოგთან მიღებაზე ეწერება მას შემდეგ, რაც წინასწარ შეამოწმებს მთვარის კალენდარით კბილების ამოღებისა და მკურნალობის შესაძლებლობებს.

ითვლება, რომ მთვარის კოსმოსურ სივრცეში მოძრაობა მოქმედებს მთელ ადამიანურ სითხეზე. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ორგანიზმის სისხლისა და ქსოვილის მდგომარეობაზე. ჩინური მედიცინა შეიცავს ფაქტს, რომ მთვარის ფაზების ცვლილებასთან შესაბამისობაში დაიკვირვება ნივთიერებათა ურთიერთქმედების აქტიურობის ზრდა ან კლება.

თუ სტომატოლოგს ვეწვევით მთვარის კალენდრით წარუმატებელ დღეს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს სერიოზულ გართულებებს. მათ თავიდან ასაცილებლად უნდა შევისწავლოთ, მთვარის კალენდრით როდისაა შესაძლებელი კბილების მკურნალობა. როდესაც მთვარეს აქვს ნამგლის ფორმა, მაშინ უნდა გადავდოთ ნებისმიერი მანიპულაციები, რამდენადაც სწორედ მაშინ ადგილი აქვს იმუნიტეტის დასუსტებას. სავსემთვარეობის დროსაც უმჯობესია ნებისმიერი ოპერაციების გადადება. სწორედ მაშინ ძლიერდება სისხლის წნევა.

თუ ჩვენ არ ვიცით, როდის მივმართოთ სტომატოლოგს მთვარის კალენდრის მიხედვით, მაშინ უმჯობესია ეს გავაკეთოთ კლებადი ფაზის დროს. სწორედ მაშინ ხდება იმუნიტეტის გაძლიერება, სისხლის დინება რეგულირდება. ქვეითდება მგრძობელობა. ამიტომ ინიშნება სერიოზული პროცედურები, რომელთა ჩატარება არ შეიძლება სხვა პერიოდებში.

მთვარის კალენდრის მიხედვით კბილების ამოღებისა და სხვა მანიპულაციების ჩასატარებლად უმჯობესია მთვარის უკანასკნელი ფაზის პერიოდი.

მთვარის კალენდრის მიხედვით კბილების მკურნალობისა და ამოღების კეთილსაიმედო და არაკეთილსაიმედო დღეები 2019 წლისათვის მოცემულია ცხრილებში.

თვე	საიმედო დღეები	თვე	არასაიმედო დღეები
იანვარი	3-14, 29, 30	იანვარი	1, 2, 15-28, 31
თებერვალი	1-11, 14, 15, 25, 26	თებერვალი	12, 13, 16-24, 27, 28
მარტი	3-10, 13-16, 15, 25, 26, 31	მარტი	1, 2, 11, 12, 14, 17-24, 27-30
აპრილი	1-6, 9-15, 21, 22, 27-30	აპრილი	7, 8, 16-20, 23-26
მაისი	1-3, 7-14, 18, 19, 24-28, 30, 31	მაისი	4-6, 15-17, 20-23, 29
ივნისი	3-12, 14, 15, 21-24, 30	ივნისი	1, 2, 13, 16-20, 25-29
ივლისი	1-12, 18-22, 28-31	ივლისი	13-17, 23-27
აგვისტო	1-10, 14-18, 27-31	აგვისტო	11-13, 19-26
სექტემბერი	1-8, 11-14, 26-30	სექტემბერი	9, 10, 15-25
ოქტომბერი	18, 10-12, 25-31	ოქტომბერი	9, 13-24
ნოემბერი	1-6, 8, 24-30	ნოემბერი	7, 9-23
დეკემბერი	1-6, 23-31	დეკემბერი	7-22

თუ ჩვენ არ ვიცით, როდის ამოვითოთ კბილი მთვარის კალენდრის მიხედვით, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია დავიხმართ ილბლიანი თანავარსკვლავედები.

1. სასწორი

შეიძლება განვახორციელოთ ნებისმიერი მანიპულაცია ესთეტიკური ქირურგიიდან: ამოღება კბილების, ნაკრების გასწორება, გათეთრება, კარიესის მკურნალობა.

2. ქალწული

ბჯენისა და იმპლანტის ჩადგმა იქნება მიზანშეწონილი და მოგვემსახურება დიდხანს. შესაძლებელია ემალთან მუშაობა.

3. კიბორჩხალა (მარჩბივი)

შეიძლება ნებისმიერი ესთეტიკური ოპერაციის ჩატარება, მაგრამ არ ღირს კბილის ამოღება. ამან შეიძლება გამოიწვიოს გართულება.

4. ტყუპები

შეიძლება მცირე ოპერაციების ჩატარება, მაგრამ არ უნდა შევეხოთ ნერვებს.

5. ლომი

ბჯენის დაყენება იქნება წარმატებული. ამოღებიდან შევიკავოთ თავი.

6. მორიელი

ყველაზე კარგი დროა კბილების ამოსაღებად. ჭრილობა ადვილად შეხორცდება.

7. მშვილდოსანი

შეიძლება ნებისმიერი ტიპის მკურნალობის შესრულება.

8. მერწყული

წარუმატებელი დროა ახალ პროთეზებისა და იმპლანტებისათვის

თუ ვგეგმავთ სტომატოლოგთან ვიზიტს, უნდა გავითვალისწინოთ კბილების მკურნალობის მთვარის კალენდრის რეკომენდაციები. შესაბამის პერიოდში ყველა ოპერაცია ჩაივლის უმტკივნეულოდ და მკურნალობა იქნება წარმატებული.

ლიტერატურა

1. ადეიშვილი თ., ჯიქია მ., ადეიშვილი მ. მედიცინის საბუნებისმეტყველო საფუძვლები. // ნაწილი III, ქუთაისი, 2016.
2. Pokorry A. D. Moon phase and mental hospital admissions. // J. Psychot. Nurs.vol., 1968.
3. ადეიშვილი თ. და სხვ. ასტრონომიის საფუძვლები. // ნაწილი I, ქუთაისი 2012.
4. Горшков М. М. Гравитация и жизнь. // М., 1976.
5. ადეიშვილი თ. გეოფიზიკა. //ნაწილი III, ჰიდროსფეროს ფიზიკა, ქუთაისი, 2018.
6. ადეიშვილი თ., ჟვითიაშვილი თ. და სხვ. მედიცინის საბუნებისმეტყველო საფუძვლები. // ნაწილი I, ქუთაისი, 2014.

INFLUENCE OF LUNAR PHASES ON TEETH

Adeishvili T., Zhvitiashvili T., Davarashvili Kh., Jikia M.

Summary: Problems affecting the teeth of the lunar phases are discussed. A reliable correlation between these two events is confirmed.

Key words: The phases of the moon, impact on humans.